# ერთობლივი სახმელეთო ოპერაციები

**პოლკოვნიკი ჯამბულ ზალოშვილი**
დოქტორანტი
სამხედრო ინჟინერიის სადოქტორო პროგრამა
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## აბსტრაქტი

ომი, როგორც ფუნდამენტალურად ადამიანთა ძალისხმევის შედეგი, მჭიდროდაა დაკავშირებული კონკრეტულ სახმელეთო რაიონში დასახლებულ ადამიანებთან. მთელი სამხედრო პოტენციალი ხმელეთთანაა დაკავშირებული და უმეტეს შემთხვევებში სახმელეთო ბრძოლებში უპირატეობის მოპოვება გადამწყვეტი ფაქტორია მოწინააღმდეგის დასამარცხებლად. ადამიანური ფაქტორების ცოდნა, მათ შორის, კულტურის, ეკონომიკისა და ისტორიის, ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მოწინააღმდეგის სამხედრო პოტენციალის ცოდნა. მხოლოდ მაღალი დონის სამხედრო პოტენციალი ვერ იქნება მოწინააღმდეგის დამარცხებისა და სასრუველის საბოლოო შედეგების მიღწევის წინაპირობა. მუდმივად ხდება ოპერაციების გავლენის შეფასება მოწინააღმდეგესა და მოსახლეობაზე, რათა დამარცხდეს მოწინააღმდეგე და მიღწეული იყოს სასურველი საბოლოო შედეგი.

**საკვანძო სიტყვები:**
ერთობლივი ოპერაციები; გადამწყვეტი მოქმედება; ინიციატივის ხელში ჩაგდება, შენარჩუნება და გამოყენება; წარმატების განმტკივება

# CONNECTED GROUND OPERATIONS

**COLONEL JAMBUL ZALOSHVILI**
PHD STUDENT
DOCTORAL PROGRAM IN MILITARY ENGINEERING
LEPL - GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

## ABSTRACT

War, as a fundamental result of human endeavor, is closely linked to the settlement of a particular land area.

With people. The entire military potential is connected to the ground, and in most cases gaining an advantage in ground battles is a crucial factor in defeating an opponent. Knowledge of human factors, including culture, economics, and history, is as important as knowledge of the adversary's military potential. Only high

Level military potential can not be a prerequisite for defeating the opponent and achieving the desired end results. Constantly assess the impact of operations and the opponent and the population to defeat the advanced and achieved

Be the desired end result.

**KEYWORDS:**
Joint operations; Decisive action; Capture the initiative, maintenance and use; Strengthen success

# შესავალი

საქართველოს თავდაცვის ძალები მოქმედებენ ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად. ეს მიზნები და ამოცანები მოიცავს ქვეყნის ინტერესებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას უსაფრთხოების კუთხით, რასაც საქართველოს თავდაცვის ძალები ასრულებენ ერთობლივი მოქმედების ერთ-ერთი ფუნქციის სახით.

ერთობლივი ოპერაციები ზეგავლენას ახდენენ მოსახლეობაზე, ისევე როგორც მოსახლეობა - ერთობლივ ოპერაციებზე. ურთიერთქმედების შედეგები ხშირად არაპროგნოზირებადი და უმართავია. მეთაურები ცდილობენ ნაკლები ზიანი მიაყენონ მოსახლეობას მათი მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, გავლენა იქონიონ მათ მოქმედებებზე. მხარდაჭერის მოსაპოვებლად საჭიროა როგორც იძულება, ისე სტიმულის მიცემა, რაც განსხვავებული უნდა იყოს თითოეული შემთხვევისათვის. ოპერატიული გარემოს მაფორმირებელი და კონფლიქტის თავიდან აცილების ოპერაციების დროს ყურადღება უფრო მეტად გამახვილებულია სასურველი ქცევის სტიმულირებაზე, თუმცა ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციების დროს იძულებამ შესაძლებელია უფრო დიდი როლი ითამაშოს. წარმატების განმტკიცებისათვის საჭიროა უფრო დაბალანსებული მიდგომა. კონტექსტის მიუხედავად, სახმელეთო ძალები ყოველთვის მოქმედებენ საერთაშორისო სამართლისა და ბრძოლაში ჩართვის წესების შესაბამისად.

ომი არის ქაოსური, ლეტალური და ფუნდამენტალურად ადამიანთა ძალისხმევის შედეგი. ომი ადამიანებს შორის არსებული ნება-სურვილების კონფლიტია. თავისი არსით, ყველა ომი დაკავშირებულია ადამიანთა ცვალებად მოქმედებასთან, როდესაც თითოეული მხარე ცდილობს შეცვალოს მეორე მხარის მოქმედება იარაღის ძალით. ის მხარე, რომელიც უკეთ აღიქვამს ოპერატიულ გარემოს, უფრო სწრაფად შეისწავლის და აქვს ახალ გარემოსთან ადაპტაციის უნარი, ხოლო გაურკვეველ მგდომარეობაში ასევე სწრაფადვე იღებს მოქმედების გადაწყვეტილებას, იქნება გამარჯვებული.

# ერთობლივი სახმელეთო ოპერაციების მიზანი

ერთობლივი სახმელეთო ოპერაციები არის სახმელეთო ძალების ოპერატიული კონცეფცია და წვლილი ერთობლივ მოქმედებებში. ერთობლივი სახმელეთო ოპერაციები არის ერთდროული თავდასხმითი, თავდაცვითი და სტაბილურობის ან სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერის დავალებები ინიციატივის ხელში ჩასაგდებად, შესანარჩუნებლად და გამოსაყენებლად, ოპერატიული გარემოს ფორმირებისათვის, კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, წარმატების განსამტკიცებლად და ომის, როგორც ერთობლივი მოქმედებების ნაწილის, მოსაგებად. ერთობლივი სახმელეთო ოპერაციების მიზანია სათანადო პირობების შექმნა გაერთიანებული ძალების მეთაურისათვის, რომ ამ უკანასკნელმა მიაღწიოს საბოლოო შედეგს და დაამარცხოს მოწინააღმდეგე სახმელეთო ძალების გამოყენებით. ერთობლივი სახმელეთო ოპერაციები – ეს არის ის, თუ როგორ იყენებს სახმელეთო ძალები საბრძოლო სიძლიერეს:

- გადამწყვეტი მოქმედებებით;
- ინიციატივის ხელში ჩასადგებად, შესანარჩუნებლად და გამოსაყენებლად;
- წარმატების განსამტკიცებლად.

სამხედრო ძალები ცდილობენ, თავიდან აირიდონ ან შეაკავონ საფრთხეები ერთობლივი მოქმედებით და, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენონ შესაბამისი შესაძლებლობები აგრესიის დასამარცხებლად.

# გადამწყვეტი მოქმედება

გადამწყვეტი მოქმედება არის თავდასხმითი, თავდაცვითი და სტაბილურობის ან სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერის დავალებების უწყვეტი, ერთობლივი კომბინაცია. ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჩატარებული ოპერაციები აერთიანებს გადამწყვეტი მოქმედების სამ ელემენტს, როგორიცაა: თავდასხმა, თავდაცვა და სტაბილურობა. ქვეყნის შიგნით გადამწყვეტი მოქმედება კი აერთიანებს სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერასა და საჭიროების შემთხვევაში, თავდასხმით და თავდაცვით დავალებებს სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით.

გადამწყვეტი მოქმედება იწყება მეთაურის ჩანაფიქრითა და ოპერაციების კონცეფციით და უზრუნველყოფს მთელი ოპერაციის მიმართულებას. დაგეგმვის დროს მეთაურები და შტაბები სრულყოფენ ოპერაციების

კონცეფციას და სწორად ანაწილებენ რესურსებსა და დავალებებს, ოპერაციის მიმდინარეობისას კი შეაქვთ შესწორებები რესურსებისა და დავალებების განაწილების პროცესში ვითარების ცვლილებასთან ერთად.

ერთობლივი სახმელეთო ოპერაციები მოიცავს ბრძოლას შეიარაღებულ ოპონენტებს შორის და ასევე ოპერაციების ჩატარებას მოსახლეობას შორის. ამისათვის გაერთიანებულ ძალებს სჭირდებათ მოწინააღმდეგის დამარცხება და ამავე დროს სამოქალაქო გარემოს ფორმირება. მნიშვნელოვანია ბრძოლებსა და სამხედრო მოქმედებებში გამარჯვების მოპოვება, თუმცა ეს არაა ყოველთვის მნიშვნელოვანი დავალება. სამოქალაქო გარემოს ფორმირება მნიშვნელოვანია კამპანიის წარმატებისათვის. მრავალი ერთობლივი ოპერაციის დროს კი უფრო მნიშვნელოვანია სტაბილურობის ან სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერის დავალებები, ვიდრე თავდასხმითი და თავდაცვითი დავალებები. დავალებებზე ყურადღების გამახვილების დონე იცვლება ეშელონის, დროისა და ადგილმდებარეობის ცვლილებასთან ერთად. ოპერაციის დროს, როდესაც ყურადღება უფრო მეტად გამახვილებულია სტაბილურობაზე, ქვედანაყოფის ერთი ნაწილი ერთდროულად შეასრულებს თავდასხმით და თავდაცვით დავალებებს სტაბილურობის დამყარების მხარდასაჭერად. ქვეყნის შიგნით სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერა ერთადერთი მოქმედებაა, რომელიც რეალურად ტარდება. აღნიშნული დავალებების ერთდროულად ჩატარება მნიშვნელოვანია სახმელეთო ოპერაციის წარმატებისათვის და საბოლოო შედეგის მისაღწევად.

## ინიციატივის ხელში ჩაგდება, შენარჩუნება და გამოყენება

სახმელეთო ძალები ხელში იგდებენ, ინარჩუნებენ და იყენებენ ინიციატივას და აიძულებენ მოწინააღმდეგეს, რომ ამ უკანასკნელმა შეასრულოს საპასუხო მოქმედებები. მეთაურები შეუქმნიან მოწინაღმდეგე ძალებს სხვადასხვა სირთულეს და აიძულებენ საპასუხო მოქმედებების შესრულებას მანამ, სანამ არ აღმოჩნდებიან არახელსაყრელ პოზიციებზე. ინიციატივის გამოყენებით მოწინააღმდეგე ძალების მეთაურები იძულებული ხდებიან, რომ ხელი აიღონ საკუთარ ჩანაფიქრზე და შესაბამისად, უშვებენ შეცდომებს. მოწინააღმდეგის შეცდომებითა და დასუსტებით კი სარგებლობენ მასთან დაპირისპირებული ძალები, ხელში იგდებენ ინიციატივას და ქმნიან წარმატების განვითარების ახალ შესაძლებლობებს. წარმატების განვითარება კი საბრძოლო სიძლიერესთან ერთად მოწინააღმდეგის ძალების განადგურებისა და დამარცხების, მოპოვებული წარმატების განმტკიცების, მოსახლეობის, საკუთარი ძალებისა და ინფრასტრუქტურის დაცვის წინაპირობაა.

მეთაურები ხელში იგდებენ ინიციატივას სხვადასხვა სფეროში მოქმედებების ერთდროულად შესრულებით. ინიციატივის ხელში ჩაგდება შეუძლებელია მოქმედების გარეშე. გაურკვეველ ვითარებაში ბუნებრივად ჩნდება უფრო მეტი ინფორმაციის მოპოვებისა და შეგროვების სურვილი გაურკვევლობის შესამცირებლად. ამ მოლოდინმა და ინფორმაციის შეგროვებამ შესაძლოა შეამციროს გაურკვევლობა, თუმცა საბოლოოდ მაინც არ აღმოფხვრის მას. ხოლო ლოდინმა შესაძლებელია შექმნას ისეთი პირობები, როდესაც ადაპტაციის უნარის მქონე მოწინააღმდეგეს მიეცემა ინიციატივის ხელში ჩაგდების ან ხელახლა მოპოვების დრო. წარმატებული მეთაურები უკეთ მართავენ გაურკვეველ ვითარებას კონკრეტული მოქმედებების შესრულებისა და ვითარებაში გარკვევის მეშვეობით.

ინიციატივის ხელში ჩაგდება ნიშნავს მთელი ოპერაციის განმავლობაში სათანადო პირობების შექმნასა და მოქმედებისათვის აუცილებელი მითითებების შესრულებას. მეთაურები გეგმავენ ინიციატივის ხელში ჩაგდებას შესაძლებლობას ოპერაციის ადრეულ ეტაპზე. ეფექტური დაგეგმვისას განისაზღვრება, თუ სად, როდის და როგორ უნდა შესრულდეს აღნიშნული პროცესი. მოწინააღმდეგეები შეეცდებიან ინიციატივის შენარჩუნებასა და მასთან დაპირისპირებული ძალების გეგმების ჩაშლას, აქედან გამომდინარე, ინიციატივის ხელში ჩაგდების საფუძველი კარგად ჩამოყალიბებული გეგმების სწრაფად შესრულებაა. შესრულების ფაზაში მეთაურები და შტაბები განსაზღვრავენ და იყენებენ შესაძლებლობებს, რათა შეუტიონ და შეცდომაში შეიყვანონ მოწინააღმდეგის მართვისა და კონტროლის ელემენტები და თავიდან აიცილონ საბრძოლო სიძლიერის სინქრონიზაცია და მოულოდნელობა. ინიციატივის ხელში ჩაგდება დაკავშირებულია რისკის გაწევასთან. მეთაურები და შტაბები აფასებენ აქვთ თუ არა ინიციატივა და მისი არქონის შემთხვევაში განსაზღვრავენ ინიციატივის ხელში ჩაგდების გზებს. ქვემოთ მოცემული პირობები მიუთითებს, რომ საკუთარი ძალების ქვედანაყოფებს აქვთ ინიციატივა:

-საკუთარი ძალების ქვედანაყოფები აღარ მონაწილეობენ გადამწყვეტ საბრძოლო მოქმედებებში ან აღარ მოუწევთ გადამწყვეტი ბრძოლა;

-დაქვემდებარებულ მეთაურებს შეუძლიათ საბრძოლო სიძლიერის მასირება ან ქვედანაყოფების კონცენტრირება მათ მიერ არჩეულ დროსა და ადგილას;

-მოწინააღმდეგის ქვედანაყოფები ვეღარ ახერხებენ ეფექტური წინააღმდეგობის გაწევას ან აღარ შეუძლიათ წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობის აღდგენა;

-საკუთარი ძალების ქვედანაყოფები მოსალოდნელზე ნაკლებ წინააღმდეგობას აწყდებიან მოწინააღმდეგის მხრიდან ან ტყვეების რაოდენობაც დიდია;

-საკუთარი ძალების წინ წაწევის ტემპი უეცრად იზრდება ან მოულოდნელად მცირდება დაშავებულთა რაოდენობა.

ინიციატივის შესანარჩუნებლად საჭიროა მოწინააღმდეგეზე ხანგრძლივი და მუდმივი ზემოქმედება. მეთაურები ამას აკეთებენ საბრძოლო ფუნქციების სინქრონიზებით და აიძულებენ მოწინააღმდეგის მეთაურებს, მუდმივად ცვალონ თავიანთი საბრძოლო სიძლიერე იმ ტემპით, რომელიც არაეფექტური იქნება. მეთაურები და შტაბები იყენებენ ინფორმაციის შეგროვების საშუალებებს მოწინააღმდეგის მხრიდან ინიციატივის ხელში ჩაგდების მცდელობების დადგენის მიზნით. ინფორმაციის ეფექტური მართვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მუდმივად ფლობდე ინფორმაციას მოწინააღმდეგის გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ. ეფექტურ დაგეგმვასთან ერთად ინფორმაციის მართვა ეხმარება მეთაურებს მოწინააღმდეგის მოქმედებების წინასწარ განსაზღვრასა და განშტოებების, გაგრძელებებისა და შესწორებების შემუშავებაში.

## წარმატების განმტკიცება

წარმატების განმტკიცება მოიცავს ისეთ მოქმედებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ნებისმიერი დროებითი ოპერატიული წარმატების განმტკიცებას და ქმნიან შესაბამის გარემო პირობებს ლეგიტიმური ხელისუფლებისათვის მართვის უფლებამოსილების გადაბარების მიზნით. სახმელეთო ძალები იყენებენ ოპერატიულ წარმატებას გაერთიანებული ძალების მეთაურისათვის მოპოვებული წარმატების განმტკიცების მეშვეობით. წარმატების განმტკიცება წარმატების მოპოვებისა და მიღწევის ნაწილია კონფლიქტის კონტინიუმის პროცესსა და მთელ რიგ სამხედრო ოპერაციებში. ესაა მეთაურის ჩანაფიქრის შესრულების გაგრძელება და მნიშვნელოვანია წარმატების შესანარჩუნებლად კონკრეტულ მოწინააღმდეგესა და მტრულად განწყობილ მხარეებთან დაკავშირებით. წარმატების განმტკიცებისათვის სახმელეთო ძალები აძლიერებენ და უზრუნველყოფენ ძალისხმევათა ინტეგრაციას ერთობლივ მოქმედებებში მონაწილე ყველა პარტნიორთან ერთად.

წარმატების განმტკიცება არაა ამოცანა. ესაა სახმელეთო ძალების სტრატეგიული როლი, რომელიც განისაზღვრება კონკრეტული დავალებების მიზნებით, რაც აუცილებელია სამხედრო ოპერაციებთან დაკავშირებით მყარი პოლიტიკური შედეგების მისაღწევად და როგორც წესი, ესაა სახმელეთო ძალების მიერ უზრუნველყოფილი შესაძლებლობა გაერთიანებული ძალების მეთაურისათვის. სახმელეთო ძალები განამტკიცებენ წარმატებას რაიონის უსაფრთხოებითა და სტაბილურების დავალებების შესრულებით მაშინ, როდესაც ოპერაციების რაიონში ოპერატიული აქცენტები გადადის ფართომასშტაბიან საბრძოლო ოპერაციებზე. წარმატების განმტკიცება იძლევა საშუალებას სახმელეთო ძალებმა დაკავებული ტერიტორიის და მოსახლეობის კონტროლი (რომელიც სამხედრო ოპერაციების შედეგია) გადასცეს კანონიერ/ლეგიტიმურ ხელისუფლებას. წარმატების განმტკიცების მოქმედებები მიმდინარეობს მთელი რიგი სამხედრო ოპერაციების მასშტაბით და ხშირად გრძელდება კონკრეტული ოპერაციის ყველა ფაზაში.

სახმელეთო ძალები უზრუნველყოფენ წარმატების განმტკიცებას ქვეყნისა და სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მიზნით. მასში შედის: მოწინააღმდეგის ძალების დარჩენილი ნაწილის დამარცხება, იძულებით გადაადგილებულ სამოქალაქო პირთა ადგილმდებარეობის შეცვლა, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენა, ჰუმანიტარული დახმარება და ინფრასტრუქტურის დაცვა. სახმელეთო ძალებს უნდა შეეძლოთ ამგვარი მოქმედებების შესრულება ოპერაციების გაგრძელების მიზნით ძალების მხარდაჭერის, ადგილმდებარეობს შეცვლისა და რეორგანიზების მეშვეობით. ოპერაციების დროს მოწინააღმდეგისათვის წინააღმდეგობის გაწევის სურვილის დაკარგვა/გაქრობა და მისი მხრიდან კონფლიქტის გაგრძელების თავიდან აცილება უმთავრესი პრიორიტეტებია წარმატების განსამტკიცებლად, რისთვისაც შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი ძალების გამოყოფა.

წარმატების განმტკიცების დროს მეთაურები უზრუნველყოფენ და ინარჩუნებენ უსაფრთხოებას ერთი ფაზიდან მეორეზე გადასვლისას. სახმელეთო ძალები ატარებენ რეკოგნოსცირებას უწყვეტად, რათა დაამყარონ და შეინარჩუნონ კონტაქტი მოწინააღმდეგე ძალების დარჩენილ ნაწილთან, შეძლონ მათი დამარცხება და შეინარჩუნონ მოპოვებული ინიციატივა. წარმატების განმტკიცება შესაძლებელია მოიცავდეს თავდასხმით დავალებებს - იზოლირებული ან მოწინააღმდეგის იმ ძალების გასანადგურებლად, რომლებსაც

გვერდი აუარეს და თავდაცვით დავალებებს - კომუნიკაციის ხაზების, მიმოსვლის მარშრუტების დასაცავად და სამხედრო ტყვეებისა და სამოქალაქო დაკავებული პირების შესახებ მონაცემების დასამუშავებლად. მეთაურები უზრუნველყოფენ შესაბამის ძალთა სტრუქტურას საჭირო დავალებების შესასრულებლად. მეთაურები ინარჩუნებენ კავშირს მოსახლეობასთან, რათა ისინი არ ჩაერიონ სამხედრო ოპერაციებში და ეხმარებიან მათ იმის გააზრებაში, თუ რა სარგებლის მომტანია სამომავლოდ მიმდინარე სამხედრო ოპერაციები. ამ ძალისხმევას მხარს უჭერს ისეთი შესაძლებლობები, როგორიცაა სამხედრო საინფორმაციო მხარდაჭერის ოპერაციები.

## დასკვნა

ერთობლივი სახმელეთო ოპერაციებისათვის საჭიროა უნივერსალური, ადაპტაციის უნარის მქონე და მოქნილი ქვედანაყოფები და მეთაურები, რომლებსაც შეუძლიათ ჯანსაღი მსჯელობა, რომელიც ძირითადად მიიღწევა რეალურ და რთულ პირობებში ჩატარებული საბრძოლო მომზადების მეშვეობით. გადამწყვეტი მოქმედების შესასრულებლად საბრძოლო მომზადების პროცესის მართვა ერთგვარი გამოწვევაა ყველა ეშელონის ლიდერებისათვის. ამ ტიპის სწავლება ანვითარებს დისციპლინას, გამძლეობას, ქვედანაყოფის ერთსულოვნებას და გაურკვეველ მდგომარეობაში მოთმინებისა და ურთიერთმხარდაჭერის უნარს. ასეთ დროს ჯარისკაცები და ქვედანაყოფები ემზადებიან ოპერაციების დროს აღმოჩენილი გაურკვეველი მდგომარეობისა და პრობლემების მოგვარებაში.

პრაქტიკული გამოცდილების მიხედვით ნათელია, რომ ქვედანაყოფები, რომლებიც გადიან საბრძოლო მომზადებას კონკრეტულად თავდასხმით და თავდაცვით დავალებებში, არ არიან მომზადებული სტაბილურობის დავალებების შესრულებაში და, პირიქით, ქვედანაყოფები, რომლებიც მონაწილეობენ ხანგრძლივი სტაბილურობის ან სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერის დავალებებში, საჭიროებენ ინტენსიურ საბრძოლო მომზადებას, რათა მიიღონ თავდასხმითი და თავდაცვითი დავალებების შესრულების გამოცდილება ერთობლივ სახმელეთო ოპერაციებში ჩართვამდე. ეფექტური მომზადება გულისხმობს ბალანსის დაცვას გადამწყვეტი მოქმედების დავალებებს შორის ინდივიდუალური, კოლექტიური და ამოცანისათვის მნიშვნელოვანი დავალებების შესრულებისას ჯარისკაცის, მეთაურის და ქვედანაყოფის კვალიფიკაციის ასამაღლებლად და მხარდასაჭერად.

გამოცდილი მეთაურები ერთობლივი სახმელეთო ოპერაციის მიმდინარეობისას მუდმივად ადაპტირებენ და ასრულებენ მრავალ დავალებას ერთდროულად. ისინი ცვლიან ტაქტიკას, უზრუნველყოფენ ამოცანით მართვის პროცესის მოდიფიცირებას, ცვლიან ძალთა სტრუქტურას და აბალანსებენ გადამწყვეტი მოქმედების თითოეულ დავალებას. ამგვარი მოქმედება უზრუნველყოფს ძალთა ფოკუსირებას ამოცანის შესრულებაზე და ეხმარება მათ ინიციატივის ხელში ჩაგდებაში, შენარჩუნებასა და გამოყენებაში. მეთაურები იღებენ გადაწყვეტილებებს ვითარებაში გარკვევის, ასევე ხელთარსებული რესურსებისა და ძალების მიერ ამოცანის შესრულების შესაძლებლობის საფუძველზე. ისინი აფასებენ ოპერაციების მიმდინარეობას, ვითარების ცვლილებებსა და ძალების საბრძოლო ეფექტურობას. მეთაურები აფასებენ არა მარტო იმას, თუ რამდენად კარგად სრულდება ამოცანა მიმდინარე ოპერაციის დროს, არამედ ასევე იმას, თუ როგორი ვითარება იქმნება შემდგომი/მომდევნო ამოცანის შესასრულებლად.

## გამოყენებული ლიტერატურა


- FM 3-0 Operations. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 6 October 2017
- FM 5-0 The Operations Process. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 26 March 2010
- FM 3-24/MCWP 3-33.5,C1 Insurgencies and Countering Insurfencies. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 2 june 2014
- FM 3-90 Tactics. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 4 July 2001
- JP 3-0 Joint Operations. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 17 January 2017 Incorporating Change 1, 22 October 2018.
- FM-6-0 Commander and Staff Organization and Operations. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 5 May 2014